შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№32 (9.548)

31 აგვისტო 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

"არც საქართველოს და არც მუსულმანურ კავკასიას, ასეთი დაპირისპირება არ აწყობს"...

საქართველო—დაღესტნის საზღვართან მიმდინარე მოვლენები არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. ლაფანყურში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დევნის ოპერაცია ჩაატარეს, რომელიც, სამწუხაროდ, მსხვერპლით დასრულდა.

28 აგვისტოს საღამოდან ლაფანყურში იმყოფებოდა შს მინისტრი ბაჩო ახალაია. მთელი ღამის განმავლობაში საზღვრის მიმართულებით პოლიციის დამატებითი ჯგუფები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები შედიოდნენ.

ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარება, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სოფელ ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაცია მათი გათავისუფლების შემდეგ დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეიარაღებული დაჯგუფების მიმართ დევნის ოპერაციის განხორციელების დროს დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა 5, - ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ლაფანყურში მიმდინარე სპეცოპერაციის დროს სამი ქართველი დაიღუპა, მათ შორის ერთ-ერთი ვეტერანი სამბისტი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი არჩილ ჩოხელია.

არჩილ ჩოხელი 1971 წლის 23 მაისს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში დაიბადა. იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1993), ორგზის მეორე (1994, 1997) და ექვსგზის მესამე (1992, 96, 98, 99, 2000, 02) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997) და მეორე პრიზიორი (1996), ევროპის ჩემპიონი (1998), მეორე (2001) და ექვსგზის მესამე (1993, 94, 97, 99, 2000, 02) პრიზიორი. ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად 4 თვის წინ დაინიშნა.

ლოპოტას ხეობაში მყოფი ექვსი დივერსანტი ჯერ კიდევ თავისუფალია.

როგორც შსს პერსსამსახურის ხელმძღვანელი სალომე მახარაძე აცხადებს, სპეცოპერაცია გრძელდება და ახალი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

30 აგვისტოს შსს—ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით,დივერსიული ჯგუფის წევრები ხეობაში იმალებიან და ალყაში არიან მოქცეულები

მათივე ცნობით, დივერსანტებიდან რამდენიმე, სავარაუდოდ, დაჭრილი უნდა იყოს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს 30 აგვისტოს გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში არის ნათქვამი, ლოპოტის ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია.

შეიარაღებულ დივერსანტთა ჯგუფის 11 წევრის გვამი ნაპოვნია. მათი ნაწილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან, ჩრდილოეთ კავკასიიდან. გარდაცვლილთა დაკრძალვა მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად მოხდება.

„ქართული სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ ჩვენი მეზობლის ტერიტორიაზე არსებული არეულობა, არასტაბილურობა, ძალადობა, რაიმე ფორმით გადაედოს და საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოქალაქეებს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან ფუნქციონირებას", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე მიმდინარე ოპერაციის კომენტირებისას.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებულ ჯგუფთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და ქართველმა სამართალდამცავებმა მათ დანებება შესთავაზეს, უარი მიიღეს. ბოლო მძევლის აყვანის ოპერაციას მოყვა სროლები, რაც შეიარაღებული ფორმირების ერთ-ერთი წევრის ლიკვიდაციით დამთავრდა. სამწუხაროდ, ამ შეტაკებებს ჩვენი სამი მებრძოლი შეეწირა. იმ მონაცემებით, რომელიც უპილოტო თვითმფრინავებით განხორციელებული დაზვერვით მივიღეთ, შეიარაღებული რაზმის წევრთა უმეტესობა განადგურებულია.

"ჩვენი სამართალდამცავები ბოლო დღეების მოვლენებს ემსხვერპლნენ, მაგრამ ისინი შეეწირნენ იმას, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა. ჩვენ ყველანი ვართ საქართველოს ჯარისკაცები. ჩვენ უზრუნველვყოფთ საქართველოს განვითარების შეუფერხებელ გაგრძელებას", - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, ადგილობრივებსა და საზოგადოებას საფრთხე არ ემუქრება. "რაც შეეხება მათ, ვინც ჩვენი სპეცრაზმელების მკვლელობა ჩაიდინა, ისინი პასუხს ბოლომდე აგებენ და მათი მოქმედებები ყველა მეთოდის გამოყენებით ბოლომდე იქნება აღკვეთილი. ყველა ზომას მივიღებთ, რომ მომავალში ვინმემ მსგავსი რამ არ სცადოს", - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

31 აგვისტოს კი ინტერნეტ-პორტალმა kavkazcenter—მა ახალი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„მოხალისე ახალწვეულთა ჯგუფს, რომელიც განადგურებულია, დაღესტნის ოპერატიული ჯგუფის მხარდაჭერა ევალებოდათ. ისინი საქართველო-დაღესტნის საზღვრის ერთ-ერთ მთიან ნაწილში შეიკრიბა და მონაწილეობა უნდა მიეღოთ დაღესტნის ვილაიეთის ტერიტორიაზე განლაგებულირუსეთის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში. ოპერაციის უკანასკნელ ეტაპზე ჯგუფის გადაადგილების მარშრუტის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა. საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული დანაყოფის საკუთარ ტერიტორიაზე გამოჩენა პროვოკაციად შეაფასა და ჩათვალა, რომ რუსეთი ამას მორიგი სამხედრო შეჭრის ორგანიზების წინაპირობად გამოიყენებდა საქართველოს ხელისუფლებამ ახალწვეულთა წინააღმდეგ სპეცრაზმის მსხვილი დანაყოფები და ვერტმფრენები გაგზავნა, ინფორმაციას - kavkazcenter-ი აქვეყნებს.

გამოცემის თანახმად, ქართულმა მხარემ მოჯაჰედებთან მოლაპარაკებები დაიწყო და მათ იარაღის დაყრა შესთავაზა. მოლაპარაკებები დღე-ღამეზე მეტ ხანს გაგრძელდა, თუმცა ახალწვეულმა მოჯაჰედებმა იარაღის დაყრაზე უარი თქვეს და საქართველოს ხელისუფლებას სთხოვეს, მიეცათ საშუალება, თავისუფლად დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია.

ინტერნეტპორტალი მძევლების შესახებ უარყოფს ინფორმაციას და აღნიშნავს, რომ ინფორმაციის გაჟონვა მათი მარშრუტის შესახებ სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ახალწვეულებმა შეთხვევით გზაზე შემხვედრი ხუთი ქართველი გაუშვეს,", - წერს kavkazcenter-ი.

kavkazcenter-ი მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და აღნიშნავს, რომ არც საქართველოს და არც მუსულმანურ კავკასიას, ასეთი დაპირისპირება არ აწყობს.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„სიძნელე ძალას მმატებს და მისი გადალახვის სურვილს მიმძაფრებს"...

გვ. 5

დედოფლისწყაროში შადრევანი აშენდება

გვ. 2

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ი თ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი" ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 1 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი" ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

მიხეილ სააკაშვილი — 3-4 წელში ყურძნის ჩაბარების ფასს 2 ლარზე ავიყვანთ

საქართველოს პრეზიდენტი30 აგვისტოს კოტეხის ღვინის ქარხანაში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ მევენახეებთან ერთად ყურძნის ჩაბარებისა და დაწურვის პროცესს დაესწრო. მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურად, თავადაც მიიღო მონაწილეობა და ფერმერს ყურძნის ტრანსპორტირებაში დაეხმარა.

„1 ლარზე ქვემოთ აღარ უნდა ჩამოვიდეთ. ძალიან მაგარი ყურძენი გვაქვს. თუ კარგ რეკლამას გავუკეთებთ 3-4 წელში 2 ლარზე ავიყვანთ ჩაბარების ფასს. ჩვენი მთავრობა ამას უზრუნველყოფს. ესაა მთელი კომპლექსური ღონისძიება — ფულის ჩადება რეკლამაში“, - აღნიშნა სააკაშვილმა.

მოგვიანებით, პრეზიდენტი „ლიბერთი ბანკის“ გურჯაანის ფილიალში ფერმერთან გია ჩალათაშვილთან ერთად მივიდა და სუბსიდირებული ვაუჩერის განაღდების პროცესსაც დაესწრო. რთველის პერიოდში მევენახეები სახელმწიფოდან მიღებული სუბსიდიების სახით 1 კგ კურძენზე, დამატებით, 35 თეთრს იღებენ, რაც ყურძნის ღირებულებას, დაახლოებით, ერთ ლარამდე ზრდის.

პირობით ვადამდე 75 მსჯავრდებული გათავისუფლდა

მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭოებმა, ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ 75 განცხადება დააკმაყოფილეს.

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მუშაობის პრინციპის თანახმად, განცხადებებს საბჭოები ყოველი თვის ბოლოს განიხილავენ, შემდეგ კი იმართება ზეპირი მოსმენა, რომელსაც მსჯავრდებული და ადვოკატი ესწრება.

5 წევრიანი საბჭოები დაკომპლექტებულია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლებით.

საბჭოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, პერიოდულად, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ განიხილავს.

გარემოსდაცვით თემაზე შექმნილი ნახატების გამოფენა გრძელდება

27 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით თბილისში ტარდება “გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კვირეული”.

კვირეულის ფარგლებში საერთაშორისი არასამთავრობო ორგანიზაცია “მერსი ქორფსი” და კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი, ევრო კავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის - “ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში” - ფარგლებში აწყობს სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენას.

გამოფენაზე წარმოდგენილია ბავშვების მიერ გარემოსდაცვით თემაზე შექმნილი ნახატები. გამოფენის მიზანია გარემოსდაცვის შესახებ ბავშვების და უფროსების ცნობიერების ამაღლება, კლიმატის ცვლილების და ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით.

გამოფენაში მონაწილეობას იღებენ ბავშვები საქართველოს შვიდი მუნიციპალიტეტიდან: დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო, ბოლნისი, დმანისი, მარნეული და ნინოწმინდა; აგრეთვე სომხეთის, ლორის მარზიდან.

გამოფენა უკვე გახსნილია და გაგრძელდება 2 სექტემბრამდე, “ბაია გალერეაში”.

გიგა ბოკერია: საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხე არ ემუქრება

ლოპოტას ხეობაში მიმდინარე მოვლენები საქართველოს სუვერენიტეტს არანაირ საფრთხეს არ უქმნის - ამის შესახებ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ეთერით განაცხადა. გიგა ბოკერიას თქმით, ინციდენტი საკმაოდ სერიოზულია, ოპერაციის დასრულებას რთული რელიეფიც აჭიანურებს, თუმცა მიმდინარე სპეცოპერაციას ქვეყნის სუვერენიტეტის საფრთხესთან კავშირი არ აქვს.

უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოში გადმოსული შეიარაღებული ჯგუფის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობას გუშინვე აცნობა. მისი თქმით, შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ინფორმაცია რუსეთის ფედერაციასაც მიაწოდეს, რათა შემდგომში ამ თემით სპეკულირებას ადგილი არ ჰქონოდა.

გიგა ბოკერიამ სპეცოპერაციის დეტალებზეც ისაუბრა. “რამდენიმე ჯგუფი იყო დაკავებული, თუმცა მძველების გათავისუფლების ოპერაცია ერთხელ ჩატარდა. თავდაპირველად მოტაცებული იქნენ ადგილობრივი ახალგაზრდები. ამის შემდეგ მესაზღვრეთა პატრული, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა ამ მოტაცების შესახებ და რომელიც ადგილზე გადაადგილდებოდა, ამ ახალგაზრდების ნაცვლად იქნა მძევლად აყვანილი. მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი ამას. შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიცრები გააგზავნა ამ ჯგუფთან მოსალაპარაკებლად, რომლებმაც მესაზღვრეების ნაცვლად თვითონ დაიკავეს მძევლების ადგილი და სცადეს იმ გზავნილის მიტანა, რომ ერთადერთი რამ, რაც ხელისუფლებამ ამ ჯგუფს შესთავაზა, მშვიდობიანად ჩაბარება იყო. სამწუხაროდ, ამ ოფიცრებმა უარი მიიღეს და ბუნებრივია, ამ დროისთვის ისინი იყვნენ მძევლები და შემდეგ განხორციელდა ოპერაცია ამ მძევლების გამოსახსნელად და მაშინ მოხდა შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება” - განაცხადა ბოკერიამ.

რაც შეეხება კითხვას, ჰქონდა თუ არა საფუძველი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გატაცება ინსცენირებული იყო, ბოკერიამ აბსურდი უწოდა და განაცხადა, რომ სპეცოპერაციას არჩევნებთან არანაირი კავშირი არ აქვს. მისი თქმით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი არ არსებობს, არჩევნები კი დანიშნულ ვადაზე გაიმართება.

ნაცმოძრაობამ ადმინისტრაციული რესურსების გამოუყენებლობაზე მემორანდუმს ხელი მოაწერა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებისას ადმინისტრაციული რესურსის არგამოყენებაზე მემორანდუმს შეუერთდა. მას პარტიის სახელით ხელი დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა მოაწერა. მემორანდუმი წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას კრძალავს. დოკუმენტი მოამზადა ცესკომ, 7—მა არასამთავრობო ორგანიზაციამ და უწყებათაშორისმა კომისიამ. ცესკო მოუწოდებს ყველა პარტიას, ხელი მოაწერონ მემორანდუმს.

მინაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდი ამ ინიციატივას მიესალმება.

„რაც მთავარია, რეფორმებს ვაგრძელებთ და მზად ვართ, ნებისმიერ უწყებასთან, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მიუკერძოებელ სადამკვირვებლო მისიებთან ვითანამშრომლოთ და ნებისმიერი ხარვეზი, თუ ასეთი იქნება, აღმოიფხვრას. ეს არის ჩვენი ცალსახა პოზიცია. ჩვენი პარტიის მიზანი ქვეყანაში დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარება და ხელშეწყობაა. ეს არჩევნები სამართლიანი და თავისუფალი იქნება, რასაც მთელი საზოგადოება ძალიან კარგად დაინახავს“, —— განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

არბოშიკში 72 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში 72 წლის მამაკაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, იგი ოჯახის წევრებმა ტყეში თოკით ჩამოკიდებული იპოვეს. მოხუცს ადგილზევე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ აღენიშნებოდა და გარდაცვლილი იყო. აღნიშნული ფაქტი მაშინვე გადაიქცა მოსახლეობის მსჯელობის საგანად, წარმოიშვა ვერსიებიც, ხომ არ იყო მომხდარის საფუძველი სოციალური სიდუხჭირე? თუმცა, ეს თვით ოჯახის წევრებმა გამორიცხეს. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი სიცოცხლეში სმენის დაქვეითებას უჩიოდა და ამასთან ფსიქოლოგიური პრობლემებიც აღენიშნებოდა. ახლობლების თქმით, თვითმკვლელობის მიზეზი ამ პრობლემებთან ერთად მწვავე კლიმაქსური პერიოდი გახლდათ. როგორც ირკვევა, მოხუცმა დილით თოკი აიღო და სახლიდან გავიდა.მეორე დღეს, როცა ოჯახის წევრებმა ის მოიკითხეს, აღმოაჩინეს, რომ არსად იყო, ძებნა დაიწყეს და ბოლოს ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ,,72 წლის კაცს თავის მოსაკლავი რა უნდა სჭირვებოდა, ბოლო-ბოლო პენსია ჰქონდა თავისი და მშიერი არ დარჩებოდა კაცი, მაგრამ აქ სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო, ბოლოს კლიმაქსიც დაემატა და..“-ამბობენ თანასოფლელები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს მოხუცებში ძალიან იმატა თვითმკვლელობის ფაქტებმა, ხშირ შემთხვევაში აშკარა ხდება, რომ მოხუცები თავს ოჯახური ძალადობის გამო იკლავენ. თუ რა მოხდა ამ შემთხვევაში, ამას გამოძიება დაადგენს.

ლალი მეხრიშვილი.

ჩვილთა საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია დაიწყო

ჩვილთა მორიგი საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია 31 აგვისტოს დაიწყება. რიგით 24-ე ნათლობა სექტემბერში სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორეს ინიციატივით, ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილებს მშობლების სურვილის შემთხვევაში მისი უწმინდესობა ნათლავს.

საქართველოს პატრიარქს ამ დროისთვის უკვე 12 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს.

ჩვილთა საყოველთაო ნათლობას საფუძველი 2008 წელს, ნათლისღების დღესასწაულზე ჩაეყარა.

„ქართული ოცნება“ არჩევნების შემდგომი არეულობისთვის ემზადება — ჩიორა თაქთაქიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპიკერ ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, კოალიცია “ქართული ოცნება” არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევისთვის ემზადება.

როგორც მან 31 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მას ამას კოალიციის ლიდერის მიერ გუშინ დასმული „უსაფუძვლო მოთხოვნები“ აფიქრებინებს, რომლებიც სახელმწიფო უწყებებისგან მთელი რიგი კანონების მოქმედების შეჩერებას გულისხმობს.

თაქთაქიშვილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა და ნაციონალურმა მოძრაობამ მზადყოფნა გამოთქვეს, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი იყოს.

„ამიტომ მხარი დავუჭირეთ ახალ საარჩევნო კოდექსს. შეიქმნა მრავალპარტიული კომისია სიების გადამოწმების მიზნით, ამოქმედდა “მასთ ქერის“ პრინციპი, შევუერთდით ქცევის კოდექსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა. “ქართული ოცნება” კი დოკუმენტში არსებული პრინციპების გაზიარებაზე უარს აცხადებს. კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ შესრულდება მის მიერ წაყენებული მოთხოვნები, რომელთაგან უმეტესობის შესრულება სახელმწიფო უწყებებისგან კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონების მოქმედების შეჩერებას გულისხმობს. ბიძინა ივანიშვილის მიერ უსაფუძვლო მოთხოვნების დაყენება გვაფიქრებინებს, რომ “ქართული ოცნების” მიზანია არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობა, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევა”, —— განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ნაციონალური მოძრაობა “ქართულ ოცნებას” კანონის მოთხოვნების დაცვის, სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობისგან თავის შეკავებისა და არჩევნების შედეგების აღიარებისაკენ მოუწოდებს, რომლებსაც თაქთაქიშვილის თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია და საერთაშორისო მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიები დაადასტურებენ.

შეგახსენებთ, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებას ზემოთ ხსენებული მოთხოვნები გუშინ წაუყენა. კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლება თუ პატარა ცვლილებებს მაინც განახორციელებს და იმ დარღვევების ნაწილს მაინც აღადგენს, რაც აქამდე იყო, ისინი წინასწარ მოაწერენ ხელს, რომ რაც დღემდე მოხდა, დაივიწყებენ. იმ შემთხვევაში, თუ ახალ კანონდარღვევებს არ ექნება ადგილი, არჩევნების ნებისმიერ შედეგს აღიარებენ. ლაპარაკია 6 მოთხოვნაზე, რომელთა შორისაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულების დაუყოვნებლივ შეჩერება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია “ქართული ოცნების” შემოსავლებიდან და ხარჯებიდან იმ თანხის ამორიცხვა, რომლის კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა; აგრეთვე ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ყველა პირობის შექმნა.

დედოფლისწყაროში შადრევანი აშენდება

დედოფლისწყაროს ცენტრს მალე ულამაზესი, ფერადი განათებით გაფორმებული შადრევანი დაამშვენებს.ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისი სამშენებლო სამუშაოებისთვის 56000 ლარი გამოიყო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, სამუშაოებს შპს „დიდოსტატი—1“ აწარმოებს. შადრევნის მშენებლობის ძირითადი სამუშაოების დამთავრება 20 სექტემბრისთვის იგეგმება.

ქალაქ დედოფლისწყაროში რამდენიმე თვის წინ შედარებით მცირე ზომის შადრევანი გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში ინ ახალგაზრდების დასვენების საყვარელ ადგილად იქცა, რომლებმაც დასასვენებლად წასვლა ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლეს.

დედოფლისწყაროელები იმედოვნებენ, რომ ქალაქის ცენტში მშენებარე შადრევანი არა მხოლოდ დედოფლისწყაროს იერსახეს დაამშვენებს, არამედ ახალგაზრდების თავშეყრის კიდევ ერთ საყვარელ ადგილად გადაიქცევა.

ყველის საწარმოში სანიტარული დარღვევები დადასტურდა

გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ქალაქ დედოფლისწყაროში, სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაგავსაყრელთან არსებულ ყველის საწარმოში დაცული სანიტარული ნორმებით დაინტერესდა და ვითარების შესწავლას გეგმავდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვერიკო გულუამ ინსპექტირების პროცესზე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ შეუსაბამობები არის, თუმცა საგანგაშო ვითარება არ დაფიქსირებულა. მისივე განმარტებით, საწარმოს რეკომენდაციები მიეცა.

„მიმდინარე წლის მაისის თვეში ინდმეწარმე გიორგი ლოლაშვილის ობიექტზე სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილმა ინსპექტორებმა განახორციელეს გეგმიური ინსპექტირება. სპეციალისტები ადგილზე იმყოფებოდნენ ჟურნალისტების დაინტერესების შემდეგაც. ინსპექტირების შედეგადაც, გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ამ საწარმოში ადგილი არ ჰქონია კრიტიკულ შეუსაბამობას. შესაძლებელი არის, რომ ამ საწარმოს ინსპექტირება განხორციელდეს როგორც გეგმიურად, ისე არაგეგმიურად... არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია, ინსპექტირების მიმდინარეობის პერიოდში საწარმოში კვლავაც მიმდინარეობდა თუ არა რძის პროდუქტების დამზადების პროცესი. ეს დეტალები შესაძლებელია დედოფლისწყაროში მოქმედ ჩვენს სპეციალისტებთან გადამოწმდეს.

რატომ იყო საწარმოს შენობაზე კომპანია „ეკოფუდის“ აბრა, რა მიზეზით გაქრა ის კედლიდან, ანდა რომელ კომპანიასთან თანამშრომლობს ხსენებული საწარმო, ცხადია ეს ჩვენი სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის. სამსახური სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ იმ საწარმოში, იმ ბიზნეს-ოპერატორებთან, რომლებიც არის დარეგისტრირებული. რა სახელწოდებით მოქმედებს ის, ამაში სააგენტო ვერ ჩაერევა,“ - აღნიშნავს ვერიკო გულუა.

ყველის ხსენებული საწარმო სკანდალში მას შემდეგ გაეხვა, რაც ტელეკამერებმა ყველის მზადების პროცესში იქ უამრავი მწერი და ანტისანიტარია დააფიქსირეს. გადაღების დროს ოპერატორებსა და ჟურნალისტებს საწარმოს თანამშრომლები თავს დაესხნენ.

„ეკოფუდის” რძის მიმღები პუნქტი დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელთან 40 მეტრში მდებარეობს. ცენტრალური ტელეკომპანიების ეთერში გავიდა რამდენიმე რეპორტაჟი, სადაც საუბარია, რომ საწარმოში, სადაც რვა წელია საკვები პროდუქტი მზადდება, საშინელი ანტისანიტარიაა. საწარმოს მოძველებულ შენობაში მუდმივად მწერების სიმრავლეს ნაგავსაყრელის სიახლოვე იწვევს.

საწარმოს ხელმძღვანელი გია ლოლაშვილი ამბობს, რომ საწარმოში სანიტარული ნორმები „ასე თუ ისე დაცულია“, თუმცა არც იმას მალავს, რომ ირგვლივ მდებარე ნაგავსაყრელი და მომრავლებული მწერები დიდი პრობლემაა, როგორც საწარმოს პერსონალისთვის, ისე ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

სანიტარული ნორმები ამგვარ ობიექტებში განსაკუთრებით დაცული რომ უნდა იყოს, ამას ადგილობრივი მომხმარებელიც ითხოვს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს მეტი ყურადღებისა და ნორმების გამკაცრებისკენ მოუწოდებს.

ილია მარტყოფლიშვილი

საბათლოში 41 ადამიანი ცოფის ვაქცინაციას დაექვემდებარა



სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოში, სადაც 15 აგვისტოს ცოფის მორიგი შემთხვევა ლაბორატორიულად დადასტურდა, 8 სული მსხვილფეხა საქონელი განადგურდა. სოფელი ბუფერულ ზონად გამოცხადდა. დედოფლისწყაროს გამგებლის ნიკოლოზ შანშიაშვილის ბრძანების საფუძველზე სოფელში კარანტინი დაწესდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურის უფროსის ვერიკო გულუას ინფორმაციით, ამ დროისთვის სოფელში იძულებით აიცრა ადგილობრივების კუთვნილი 1 200 სული საქონელი, რასაც ვეტერინარული სანიტარული კოდექსი ითვალისწინებს.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, დაავადებულ ცხოველთან კონტაქტში მყოფი მოსახლეობა აღირიცხა და სოფელში მცხოვრებ 41 ადამიანს სავალდებულო აცრები უტარდება. ვაქცინაცია სამ კვირას გასტანს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ცოფი სოფლის მკვიდრის, არმენ ნალტაკიანის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გამოვლინდა. მიმდინარე წელს კატანტინი უკვე მესამედ ცხადდება.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ, დედოფლისწყაროს ოთხ სოფელში, ცოფისა და ჯილეხის გამო საკარანტინო მდგომარეობა ერთდროულად მოქმედებდა, რომელიც მიმდინარე წლის 15 ივნისიდან მოიხსნა.

"ვეცდები,მთელი ჩემი ენერგია დედოფლისწყაროს და დედოფლისწყაროელებს მოვახმარო"

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი ზაზა კედელაშვილი წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავს დედოფლისწყაროელ ამომრჩეველთან. ამჯერად ის ქალაქ დედოფლისწყაროს გამარჯვებისა და 1 მაისის ქუჩების მაცხოვრებლებს შეხვდა, გააცნო მთავრობის ახალი ინიციატივები ჯანმრთელობის დაზღვევის ხელმისაწვდომობისა და 1000 ლარიანი ვაუჩერების თაობაზე. კედელაშვილმა კიდევ ერთხელ განუმარტა მოსახლეობას, რომ 1000 ლარიანი ვაუჩერი მთავრობის საჩუქარია და არა ვალი, რომელსაც ხალხი პენსიებიდან დაფარავს.

მაჟორიტარობის კანდიდატი მოსახლეობის პრობლემებითაც დაინტერესდა. ამ ქუჩების მაცხოვრებლებმა საკანალიზაციო სისტემისა და გზის მოწესრიგების, ასევე ინტერნეტით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება დააყენეს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წინაშე.

ზაზა კედელაშვილი მათ დაპირდა,რომ გამარჯვების შემთხვევაში ის მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად ძალ—ღონეს არ დაზოგავს:

„ამ წლების განმავლობაში მე ქართულ საქმეს ვაკეთებდი — ვემსახურებოდი სპორტს და ვცდილობდი, ჩემი ქვეყნის სახელი მის ფარგლებს გარეთ გამეტანა. თუ მომცემს ჩემი მშობლიური რაიონის მოსახლეობა საშუალებას, ნდობას გამომიცხადებს და არჩევნებში მხარს დამიჭერს, ვეცდები, მთელი ჩემი ენერგია დედოფლისწყაროს და დედოფლისწყაროელებს მოვახმარო,“ — აღნიშნა შეხვედრის დასასრულ ზაზა კედელაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

წინასაარჩევნო შეხვედრები ამომრჩეველთან

კოალიცია “ქართული ოცნების” დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ალექსანდრე თამაზაშვილმა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში პირველი შეხვედრა სოფელ გამარჯვებაში გამართა.

შეხვედრაზე კანდიდატმა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები მოისმინა, მათი გადაჭრის გეგმებზე ისაუბრა და წინასაარჩევნო პროგრამა დეტალურად გააცნო. მისი მტკიცებით, მომავალში სოფლის რწმუნებულებს თანამდებობებზე სოფლის მაცხოვრებლები დანიშნავენ.

„ალბათ სიმბოლურია, რომ წინასაარჩევნო კამპანია სოფელ გამარჯვებით ვიწყებთ და აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დავასრულებთ! სიმბოლურად დავამთხვიეთ ფერისცვალების დღესასწაულს. ზეწოლის მიუხედავად, არ დარჩება არცერთი ადამიანი დედოფლისწყაროში, სადაც პირადად არ მივალთ და პროგრამას არ გავაცნობთ,“ — აღნიშნა თამაზაშვილმა.

ადგილობრივების ნაწილი აცხადებდა, რომ მათ თავისუფლად უნდა ჰქონდეთ პარტიებთან შეხვედრისა და მათი პროგრამების გაცნობის საშუალება.

თამაზაშვილი სოფლების: ზემო ქედის, სამთაწყაროს, ოზაანის, თავწყაროს და შირაქის დასახლების მაცხოვრებლებსაც შეხვდა. შეხვედრებს გოგი თოფაძე და რეჟისორი ზაზა კოლელიშვილიც ესწრებოდნენ.

შირაქის დასახლების მაცხოვრებლებმა კანდიდატს შეახსენეს, რომ ისინი კვლავაც წინა საუკუნეში ცხოვრობენ. მათ არა აქვთ დენი და გაზი. კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში მოსახლეობამ ამ პრობლემების მოგვარება ითხოვა და აღნიშნა, რომ დაპირება ბევრი ახსოვთ, თუმცა არჩევნების შემდეგ პირობის ასრულებაზე არავინ ზრუნავს.

ილია მარტყოფლიშვილი



ამომრჩეველი და საარჩევნო კანონმდებლობა

წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაშია შესული, რომლის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად საარჩევნო სუბიექტების მუშაობა ამ კუთხით, როგორია მოსახლეობის ჩართულობა წინასაარჩევნო სამზადისში, რამდენად სურთ მათ იყვნენ ამომრჩევლები, რამდენად იცნობენ საარჩევნო კოდექსს და ხმის განხორციელების პროცესს და როგორია წინასაარჩევნოდ მათი შეხედულება მიმდინარე მოვლენებზე.

როგორც დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით ბუჩუკურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საარჩევნო კომისიაში არჩევნების მზადებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, დაზუსტებულია სიები, ფორმირდება გადასატანი ყუთის სიები, ასევე წესრიგში იქნება მოყვანილი კენჭისყრის შენობები და რაც ყველაზე მთავარია, უბნები დაკომპლექტებულია კომისიის წევრებით, რომლებიც უკვე მუშაობენ ადგილებზე და ეცნობიან საარჩევნო კანონმდებლობას.“

კითხვაზე, თუ რამდენად იცნობენ საარჩევნო კანონმდებლობას და რა უფლებები აქვს ამომრჩეველს არჩევნების დროს, მოსახლეობამ ასე გვიპასუხა,-,,რა ვიცი არჩევნების შესახებ? ვიცი ჩემი საარჩევნო უბანი და უკვე ისიც გავარკვიე, ვინაა ჩვენი უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. როგორც იქ მისვლით გავარკვიე, პირადად მე და ჩემი ოჯახის წევრები ვიმყოფებით ამომრჩეველთა ერთიან სიაში. გულწრფელად გითხრათ, დანარჩენი ინფორმაცია არც მაინტერესებს, თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, ვისზე უნდა გავაკეთო არჩევანი, მივალ და ხმას განვახორციელებ. დანარჩენი უკვე მათზეა დამოკიდებული, მე მჯერა ჩემი უბნის კომისიის თავმჯდომარის სამართლიანობის, მჯერა, რომ მშვიდობიანად ჩაატარებს არჩევნებს.“-აცხადებს ლილი ბენაშვილი.

„გულწრფელად გითხათ, მიმდინარე მოვლენებს ვერ მივცემ კარგ შეფასებას, თავიდანვე აღვნიშნავ, ნეიტრალური ვარ, არც იქით ვიხრები და არც აქეთ. ჩვენ ამერიკის გზას ვადგავართ, რუსეთი კი ვერ ინელებს ჩვენს ამერიკულ ოროენტაციას,ამიტომ მისი აგრესია ვერასოდეს ჩაცხრება, რაც უფრო მეტად მივიწევთ ნატოსკენ, მით მატულობენ რუსული ჯარები საქართველოს საზღვრებთან. რუსეთი ასეა თუ ისე, ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და ვერსად გავიქცევით, ისინი ვერასოდეს მოინელებენ თავის საზღვართან ნატოს ჯარების განლაგებას. არადა, ძალიან ცუდ სიტუაციაში ვართ, მე პირადად მინდოდა არჩევნებში ხმა მიმეცა ამ კუთხით ნეიტრალური აზრის პოლიტიკური ძალისთვის. ასეთები იყვნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვისაც მართლა სწორი გზა ჰქონდა არჩეული, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ისინი აღარ არიან. თავის მხრივ არასასურველი კანდიდატები და ძველი ჩინოვნიკები ყავს ,,ქართულ ოცნებას“. საეჭვოა, რომ მათ ამგვარი ხერხით ხალხის ნდობა მოიპოვონ, გამარჯვების შემთხვევაში როგორ და რა ცხოვრებას მოგვიტანენ ისინი, ხალხს ეჭვი ეპარება. ამ ორი ძალის ჭიდილში, რომელთა თითქოსდა გარიგებაზეც საუბრობენ კულუარებში, არაა გამორიცხული, რომელიმე ჩვეულებრივმა პატარა ოპოზიციამ გაიმარჯვოს, როგორც ერთ დროს არავინ რომ არ ელოდა ნაციონალების გამარჯვებას, მაგრამ მოულოდნელად მათ გაიმარჯვეს, ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად.ყოველ შემთხვევაში, ჩემს არჩევანს ჩემს საიდუმლოდ დავიტოვებ,იმედია მაქვს ამის უფლება!“-აცხადებს ჩვენთან საუბარში ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი თამაზ წიკლაური.

იმედია, პირველი ოქტომბრის არჩევნებზე მომზადებულნი მივალთ და ჩვენს არჩევანს ცივილიზებულად გავაკეთებთ.

ლალი მეხრიშვილი

სიძნელე ძალას მმატებს და მისი გადალახვის სურვილს მიმძაფრებს...

მარიამ ბოსტოღანაშვილმა წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ის სასურველი ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა და სახელმწიფო გრანტის ასპროცენტიანი დაფინანსების სიაშიც მოხვდა.

ნიჭიერი და მიზანსწრაფული გოგონა ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ბავშვობიდან მათემატიკა უფრო უყვარდა, მასთან ერთად კი ხატვის ნიჭიც ჰქონდა — სწორედ ამ საგნებისადმი მისწრაფებამ და მათმა სიყვარულმა განაპირობა მომავალი პროფესიის არჩევანი. თუმცა იმასაც გვიმხელს, რომ ბავშვობაში ლექსის წერა არ იყო მისთვის უცხო — ეს დედისგან, ნატო ყატაშვილისგან სმენია, მაგრამ როგორც ჩანს, მოგვიანებით მამის გენმა იმძლავრა და მისი მისწრაფებაც ტექნიკური საგნებისკენ გადაიხარა.

— როდესაც ხმამაღლა გავამხილე ჩემი მომავალი პროფესიის შესახებ, გამაფრთხილეს, რომ გოგონასთვის ეს პროფესია რთული იქნებოდა, მაგრამ ამ გაფრთხილებამ მეტი სტიმული მომცა. საერთოდაც, სიძნელე მე ძალას მმატებს და მისი გადალახვის სურვილს მიმძაფრებს.

— მაინც რატომ აირჩიე არქიტექტურა, იმიტომ ხომ არა, რომ ახლა საქართველოში მშენებლობის ბუმია და ეს პროფესია მოდურად იქცა?

— ალბათ, არც ეს ფაქტორია გამორიცხული—არქიტექტურა დღეს საჭირო პროფესიაცაა და დასაქმების მხრივაც საკმაოდ პერსპექტიულია.

— მარიამ, შენ ხარ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც რეფორმის თაობად მოიხსენიებენ. როგორ გგონია, გაამართლა განათლების რეფორმამ, რამდენად საკმარისი აღმოჩნდა სკოლაში მიღებული ცოდნა ერთიან ეროვნულ გამოცდებში?

— ბოლო სასწავლო წელს გადმოვედი ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში.ადრე თუ მოსწავლეები რეპეტიტორებთან ატარებდნენ დროის უმეტეს ნაწილს და გამოცდებს ისე აბარებდნენ, წელს ასე არ მოხდა—საატესტატო გამოცდები სკოლაში მიღებული ცოდნით ჩავაბარე. ასე რომ, კმაყოფილი ვარ განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმით.

— დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თანამედროვე თაობა წიგნთან გაუცხოებულია. შენ თუ გიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა?

— ჩვენს თაობაშიც არიან ბავშვები, ვისაც კითხვა უყვარს. ინტერნეტი ინფორმაციის კარგი წყაროა, მაგრამ წიგნს ვერასდროს ჩაანაცვლებს. ძალიან მიყვარს ვიქტორ ჰიუგოს და ოთარ ჭილაძის შემოქმედება. ასევე ინტენსიურად ვეცნობი თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებასაც.

— მარიამ, შენი ოცნების ქვეყანა, სადაც სიამოვნებით იცხოვრებდი საქართველოს გარდა?

— სიამოვნებით ვიცხოვრებდი ინგლისში და ვისწავლიდი კემბრიჯის უნივერსიტეტში. თუმცა, უცხოეთში მუდმივად ცხოვრებას ვერ შევძლებდი. აუცილებლად დავუბრუნდებოდი საქართველოს და იქ მიღებულ ცოდნას ჩემს ქვეყანას მოვახმარდი.

ინგა შიოლაშვილი

მოდური პროფესიები, ანუ ვინ გამოვა ჩემი შვილი- „დოხტური“ თუ...

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია. საგანმანათლებლო პროცესიც ცოტა ხანში დაიწყება.

გადავწყვიტეთ, განვიხილოთ დღეისთვის ყველაზე პრესტიჟული ფაკულტეტები...

არცთუ ისე შორეულ წარსულში იმდენად დიდი ბუმი იყო სამედიცინოზე, რომ ყველას ექიმი რძალი ან სიძე უნდოდა. ხშირად გაიგონებდით: “ჩემმა შვილმა ოჯახში ექიმი ქალი უნდა შემოიყვანოს’’ ანდა “ჩემს შვილს ექიმზე ნაკლებ კაცს არ გავატანო”. გაუთხოვრობის ან უცოლოდ დარჩენის შიშით ყველა სამედიცინოს ეტანებოდა და საძებნი ექიმი კი არა, პაციენტი რჩებოდა. თუმცა ყველას მოწოდებას ექიმობა არ წარმოადგენდა და იყვნენ “უდიპლომო სასიძოებიც”...

მოგვიანებით, საექიმო ციებცხელებამ გადაიარა, მაგრამ... საქართველო რისი საქართველოა, ახალი ‘’მოდა’’ რომ არ შემოელო და აი, ისიც: იურიდიული ფაკულტეტი. აქაც შეგვექმნა პრობლემები! იმდენი იურისტი გვყავს, ქვეყანას მათი მეოთხედიც არ სჭირდება! ასე დარჩნენ დიპლომიანი იურისტები უმუშევრად...

ახლა ექიმსა თუ იურისტს ბიზნესმენი ჩაენაცვლა და ატყდა ამბავი... ნიჭისა თუ უნიჭობის მიუხედავად, ყველა ბიზნესის ფაკულტეტს მიეძალა. ამის შემხედვარეს გაგიკვირდება, რატომ არის ასეთ ბედკრულ მდგომარეობაში საქართველო და მისი ეკონომიკაო, მაგრამ ისევ ნიჭის საკითხს თუ დავუბრუნდებით, ყველაფერი გასაგები ხდება...

ცოტა ხნის წინ, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ და საქართველოში სამშენებლო ბუმმა ინჟინრისა და არქიტექტორის მივიწყებული, თუმცა ერთ დროს ძალზე მოდურ პროფესიებს კვლავ აღუდგინა „ძველი დიდება“.

ჩვენი მხრიდან ჟურნალისტიკასაც შევეხებით. არც ამ პროფესიას აკლია მსურველები, მაგრამ თუ ზოგი თავს იკავებს, თავისი მომავალი ჟურნალისტიკას დაუკავშიროს, ამის ერთ-ერთი მიზეზი არაობიექტური მედიასივრცეა, რასაც ხშირად არასაკმარისი ანაზღაურება ერთვის...

დღეისათვის ჟურნალისტიკასთან ერთად მოდურად იქცა ფოტორეპორტიორის პროფესიაც. მისი წყალობით ბევრმა ადამიანმა არა მარტო ცნობადობა, არამედ მატერიალური კეთილდღეობაც მოიპოვა...

დაბოლოს, მაინც გირჩევთ: დაფიქრდით, ღირს კი თქვენი მოწოდების ჩაკვლა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიერ არჩეული პროფესია მაინცდამაინც პოპულარული არ არის... ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ თქვენი მშობლები ან მეზობლები, ეს ხომ თქვენი მომავალია...

ახალგაზრდული პროექტი „სამოქალაქო ავტობუსი“ დედოფლისწყაროელების გააქტიურებას ცდილობს

დედოფლისწყაროში 25-26 აგვისტოს ახალგაზრდული პროექტების ორდღიანი ტური გაიმართა. საინიციატივო ჯგუფის პროექტის — „სამოქალაქო ავტობუსი“-ს ფარგლებში დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისთვის ორდღიანი საინტერესო ტური ქალაქის პირველ საჯარო სკოლაში მოეწყო და გაზეთი „შირაქიც“ ადევნებდა თვალყურს. მას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა და სამუშაო ჯგუფის წევრმა კახა კოტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, პროექტი რეგიონებში ვიზიტების გზით ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებზე და სამოქალაქო განათლების საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას მოიცავს. მონაწილეთა ასაკი 5-დან 30 წლამდე იყო განსაზღვრული.

შეხვედრის ფარგლებში პირველ დღეს დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა და პრეზენტაციები საერთაშორისო გაცვლითი პროექტების თაობაზე. მოეწყო სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობები მონაწილეებისთვის, საღამოს კი გაიმართა კინო-ჩვენება როგორც პატარებისთვის, ისე მოზრდილებისთვის. 10 წლამდე მოსწავლეებმა მულტიპლიკაციური ფილმები ნახეს, ხოლო უფროსი კლასის მოსწავლეებმა მხატვრული ფილმი.

პროექტის მეორე დღე დაეთმო პრეზენტაციებს ჯანსაღი ცხოვრების წესზე და 10:00 საათიდან ჩატარდა სხვადასხვა სახის შემეცნებითი, სპორტული და გასართობი აქტივობები.

დედოფლისწყაროში იმყოფებოდა პროექტის მენეჯერი **თამარ კაკუბავა**, მან გაზეთ „შირაქთან“ კომენტარი გააკეთა.

„პროექტი „სამოქალაქო აქტივობების ავტობუსი“ პირველ რიგში ემსახურება საქართველოს რეგიონებში და მოწყვეტილ დასახლებებში ყოველდღიური რუტინის დარღვევას და შემეცნებით მიზანს ისახავს. ასევე, ვემსახურებით, აქტიურო მოქალაქეობის ხელშეწყობას, რათა ადგილობრივი ახალგაზრდები უფრო მეტად გააქტიურდნენ და იმის ნაცვლად, რომ ნარკოტიკებს, ან სხვა მავნე ჩვევებს მიეძალონ, ნახონ სხვა პერსპექტივები, საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადონ, გაიცნონ ადამიანები, საერთაშორისო პროექტები. გვქონდა ასევე შემეცნებითი პროგრამა. იმ ფინანსების ფარგლებში, რაც ჩვენ დონორებისგან გვქონდა, ამ ეტაპზე გასვლითი ტური ოთხ რეგიონში დავგეგმეთ. აქ ჩამოსვლამდე, ანალოგიური პროექტით ვიყავით დევნილების დასახლებაში, სოფელ ფრეზეთში, მეორე ავირჩიეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, რადგან საკმაოდ დიდი რაიონია, მოშორებით მდებარეობს, რის გამოც ჩვენნაირი არასამთავრობო ჯგუფები ნაკლებად ჩამოდიან. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ ჩავსულიყავით იქ, სადაც გააქტიურება ყველაზე მეტად სჭირდებათ. ახლა ვიმყოფებით დედოფლისწყაროში და ამის შემდგომ კიდევ ორ დასახლებას ვეწვევით. მოხარული ვარ, რომ დედოფლისწყაროში გაცილებით მეტი მსურველი მოვიდა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“პროექტის მენეჯერმა თამარ კაკუბავამ.

პროცესის დასრულების შემდეგ მსურველებს სხეულზე ხატვა შესთავაზეს, რამაც პატარები ძალზე გაახალისა. დედოფლისწყაროელი ბავშვები ტურით კმაყოფილი დარჩნენ.

„დღეს ძალიან განსხვავებული დღე იყო, მე უზომოდ მომეწონა. ასეთი დღე მართლა არასოდეს არ მქონია და ძალიან მინდა, რომ ასეთი ღონისძიებები კიდევ გაგრძელდეს. ჩემთვის საინტერესო იყო გასაუბრება და სპორტული თამაშები. ყველაზე ძალიან ხატვა მომეწონა, მეც ვხატავ, ხშირად ვქმნი ხოლმე საუცხოო ნამუშევრებს. ამიტომაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს დღეები მართლა არასოდეს დამავიწყდება,“ - განუცხადა „შირაქს“ სკოლის მოსწავლე **მარიამ თარხნიშვილმა**.

„ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შესახებ აძლევს მოზარდებს ინფორმაციას, უდაოდ ძალიან საინტერესოა. მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ამ ღონისძიებაში ჩართულნი არიან არა მხოლოდ მოზარდები, არამედ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებიც... უშუალოდ ეს პროექტი „სამოქალაქო აქტივობების ავტობუსი“ ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. პროქტში 30-დან 50-მდე დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. პირადად ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით გამართული სემინარი. უკვე სტუდენტი ვარ და მაინტერესებს ის პროგრამები, რომლის საშუალებითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და არა მხოლოდ ევროპაში, მოხალისედ წასვლას და გამოცდილების მიღებას შევძლებ. მიმაჩნია, რომ რაც მეტი მსგავსი ორგანიზაცია ჩამოვა დედოფლისწყაროში და ამგვარ აქტივობებს ჩაატარებს, მით მეტად ინფორმირებულნი ვიქნებით და ბევრი შედეგის მიღწევას შევძლებთ. მივესალმები ამგვარი პროექტების რეგიონებში განხორციელებას,“ - აღნიშნა მონაწილე **მერი ქადაგიძემ.**

შედეგებითა და ადგილობრივების დაინტერესებით კმაყოფილებას გამოხატავს როგორც დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის არასაკლასო აქტივობების მენეჯერი და ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი კახა კოტაშვილი, ისე თბილისელი ტრენერი სოსო დოლიძე.

კახა კოტაშვილი: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა სახის აქტივობებში ხშირად არიან ჩართულნი, ამიტომ მიჩვეულნი არიან ასეთ რეჟიმს. დღესაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა იმ სავარჯიშოში, თუ აქტივობაში, რაც პროექტით იყო განსაზღვრული. მათი აქტიურობით პირადად მე საკმაოდ კმაყოფილი ვარ. რამდენიმე მათგანსაც ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ ბავშვებიც კმაყოფილები დარჩნენ. ჩვენ ასეთი პროექტი დევნილთა დასახლებაში უკვე ჩავატარეთ, თუმცა მინდა ვთქვა, რომ პირველ ტურთან შედარებით დედოფლისწყაროში ბევრად უკეთესი შედეგი გვაქვს. ეს მოსალოდნელიც იყო თუნდაც იმიტომ, რომ დედოფლისწყაროში ბევრად განათლებული და აქტიური ბავშვები არიან ვიდრე სოფელ ფრეზეთში. დევნილთა დასახლებაში აქტიურობა გაცილებით ნაკლებია. თუმცა, მათთვისაც ძალიან საინტერესო იყო ჩვენს პროექტში მონაწილეობა. პროექტის წერისას დროში შეზღუდულები ვიყავით, ამიტომ მხოლოდ 4 ადგილი შევარჩიეთ, მათ შორის დედოფლისწყაროც მოხვდა, რადგანაც ვიცოდით, რომ არც ორგანიზების თვალსაზრისით გვექნებოდა პრობლემები და მოზარდებიც საკმაოდ აქტიურობით გამოირჩევიან.“

სოსო დოლიძე: „დედოფლისწყაროში ვიზიტით ნამდვილად კმაყოფილები ვართ. ველოდით აქტიურ ჩართულობას, თუმცა ამ დოზით ჩვენთვის მოულოდნელი იყო. მაგრამ პესიმისტურად განწყობილნი არ ვყოფილვართ. თქვენც ნახეთ, რომ უამრავი ბავშვი მოვიდა. როცა დედოფლისწყაროში ჩამოვედით, პატარა რუპორით ქუჩებში დავდიოდით და მოზარდებს ვიწვევდით პროექტში მონაწილეობის მისაღებად. ძალიან გვიხაროდა, რომ მათი უმრავლესობა ამის შესახებ უკვე ინფორმირებული იყო და ყველა ამბობდა, რომ მოსვლას გეგმავდა. მათი სიმრავლით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, ბოლომდე ჩაერთვნენ ჩვენს აქტივობებში და ბოლმდე გაიაზრეს მათი არსი. დედოფლისწყაროელი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი იყო პრეზენტაციები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე. ვფიქრობ, რომ ამ პროექტებით სწორედ მოსწავლეთა ეს ასაკობრივი ჯგუფი უნდა დაინტერესდეს, რომლებიც აქ იყვნენ წარმოდგენილნი. რა თქმა უნდა ეს ის პროექტებია, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ. გაემგზავრებიან საზღვარგარეთ, შეიძენენ გამოცდილებას, გაეცნობიან და ეზიარებიან ევროპულ კულტურასა და ღირებულებებს. გვქონდა სხვადასხვა სახის თამაშები, რომლებიც დამყარებული იყო ურთიერთგაგებაზე, ტოლერანტობაზე, ჩართულობაზე და სამოქალაქო აქტივობებზე. შესაბამისად, ინტერესიც დიდი წამოვიდა. წარმატებით დავასრულეთ დედოფლისწყაროს ვიზიტი და ახლა კიდევ 2 გასვლითი ტური დაგვრჩა, რომლებსაც ჭოპორტსა და ხელთუბანში სავარაუდოდ სექტემბრის მეორე ნახევარში განვახორციელებთ. ვფიქრობთ, რომ ამ პროექტმა ძალიან გაამართლა. მისი იდეა, რომ სოფლებში ჩავიდეთ და ახალგაზრდობას ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გავუზიაროთ, უდაოდ საინტერესო აღმოჩნდა. უდაოდ სასარგებლო და საინტერესო აღმოჩნდა, ამიტომაც ვეცდებით, რაღაც ფორმით პროექტი მომავალშიც გაგრძელდეს. შესაძლებელია ცალკეული კორექტივები შევიტანოთ, მაგრამ მის განხორციელებაზე უდაოდ ვიფიქრებთ.“

პროექტის პარტნიორები და დონორები არიან საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. კონკრეტულად, გერმანული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები — MitOst, Theodor Heuss Kolleg, CRISP. განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა კავკასიაში: Irish Group – Managing Diversity. ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში გახლავთ იგპ. „ასოციაცია თანხმობა”.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში მსგავსი გასვლითი აქტივობები რამდენიმე რეგიონში უკვე განხორციელდა.

ილია მარტყოფლიშვილი

უწმინდესმა ეროვნულ მუზეუმში ანჩისხატთან პარაკლისი გადაიხადა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ჩამობრძანებას ედესიდან კონსტანტინოპოლში - ანჩისხატობას 16 (29) აგვისტოს დღესასწაულობს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანუ "პირი ღვთის ხატი" ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს. ამ სასწაულთმოქმედი ხატის შექმნა უშუალოდ უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს უკავშირდება. როცა განკაცებული ღმერთი ჯერ კიდევ ადამიანთა შორის ცხოვრობდა და მათ სასწაულებით აჯილდოებდა, ქალაქ ედესის მთავარი ავგაროზი, უკურნებელმა სენმა შეიპყრო, ექიმებმა მისი გადარჩენის იმედი დაკარგეს. მაშინ ავგაროზმა შიკრიკი აფრინა იესო ქრისტესთან და მისწერა, რომ თუ ამ სნეულებისაგან განკურნავდა, მის ყოველ ნებას აღასრულებდა და ურიებისაგან დევნილს თავის სამეფოში მოსვენებით აცხოვრებდა.

იესო ქრისტემ საპასუხოდ ლოცვა-კურთხევის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მისვლას ვერ შეძლებდა, რადგან თავისი დიდი საქმე ჯერ ისევ აღსასრულებელი ჰქონდა. მაშინ ავგაროზმა, რომელსაც იესოზე საუბარი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და აუტანელ ტკივილებს უმსუბუქებდა, კარის მხატვარი გაგზავნა, რათა ქრისტეს სახე დაეხატა და მისთვის ჩამოეტანა. ბევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ მაცხოვრის სახის ტილოზე გადატანა ვერ შესძლო, მაშინ იესომ მას ტილო გამოართვა, სახეზე მიიფარა და მასზე მისი სახე სასწაულებრივად აღიბეჭდა. გახარებული მხატვარი მოციქულ თადეოზთან ერთად მაშინვე ავგაროზისაკენ გამოემართა. ქალაქ იეროპოლისს რომ მიუახლოვდნენ, მგზავრებს დაუღამდათ და ღამე ქალაქის განაპირას მცხოვრებ მექოთნის ოჯახში გაათიეს, ხოლო ხატი იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შორის ჩაასვენეს. შუაღამისას ზეციდან ჩამოეშვა და ხატს დაადგა ცეცხლის სვეტი, რომელმაც ქალაქის გამგებლის ყურადღებაც მიიქცია. მას ხატის შექმნის ისტორია უამბეს, ხოლო როცა იგი კეცებიდან ამოასვენეს, ნახეს, რომ მაცხოვრის ხატი ზემო კეცზეც გადასულიყო. ქალაქის გამგებელმა ის კეცი თავის სასახლეში წაასვენა. მე-6 საუკუნეში მაცხოვრის ხატიანი კეცი მონოფიზიტური მწვალებლობის მიმდევართა ტაძარში მოხვდა. იქ იგი ნახა წმიდა ანტონ მარტომყოფელმა, ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთმა და რათა ეს დიდი სიწმინდე მწვალებელთა ხელში არ დარჩენილიყო, ფარულად წამოიღო, ხოლო როცა იოანე ზედაზნელთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, ხატიც თან ჩამოასვენა.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სადიდებლად, რომელსაც იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ანჩის ტაძარში ესვენა, ანჩისხატი ეწოდა, ქართველებს მრავალი საგალობელი შეუქმნიათ. ეს საგალობლები გვიდასტურებენ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებულ მოკრძალებას წინაშე ამ სასწაულმოქმედი ხატისა, რომელიც მოსავთა მისთა ანიჭებდა ცოდვათა შენდობას და დიდსა წყალობას. თუ რწმენით და სასოებით შევევედრებით, იგი კვლავაც ღირს გვყოფს, რათა ხილულსა თუ უხილავ მტრებთან ბრძოლაში მფარველად გვექმნეს ქართველებს:

ანჩისხატობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 29 აგვისტოს, ეროვნულ მუზეუმში, ანჩისხატთან პარაკლისი გადაიხადა.

უწმინდესსა და უნეტარეს მუზეუმის შესასვლელში მუზეუმის ხელმძღვანელობა, თანამშრომლები და ხატის მოსალოცად მისული მრევლი დახვდა.

კომუნისტური რეჟიმის დროს ანჩისხატი ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს. უფლის ხელთუქმნელი ხატი დღემდე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება და მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია გამოფენილი.

მონატრება

იზოლდი გურაშვილი

მთელი ცხოვრება შენს მონატრებაში ვიცხოვრებთ!

ადამიანის ცხოვრების აზრი, სიყვარულით ცხოვრებაა! ასე გვზრდიდი დედა! და სიყვარულით ვიცხოვრეთ, სიყვარულში დაიხარჯე და სიყვარული დაგვიტოვე.

არასოდეს გბეზრდებოდა სიკეთის კეთება, სულ სხვისთვის ცხოვრობდი, ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე ნაცხოვრები ზიარების დიდი მადლით და საგზლით დამშვენებული გაგიყვანა მარადისობისკენ მიმავალ გზაზე. და მძიმე სენის მიუხედავად, ერთი დღე–ღამის ტკივილი გაკმარა უფალმა. დაილოცოს ღვთის განგება! სულ მგონია, დედა, რომ შენი დატოვებული მადლი წამოგეწია!

ყველა ის, ვინც მთელი ცხოვრება ყველაზე მეტად გიყვარდა, ცრემლიანი თვალებით დაგყურებდა, როცა შენი ლამაზი და ბობოქარი ცხოვრება განვლილი სული, მშვიდად ტოვებდა შენს შრომით დაღლილ სხეულს!

სულ მიკვირს, თვითონ ობლობის ტკივილით სავსე წარსულში გაზრდილმა, როგორ შეძლო ასეთი დიდი სითბოთი, სიხარულითა და მადლით სავსე ცხოვრება გვქონოდა ჩვენ, შენს გვერდით მყოფებს. სოცოცხლის ბოლო წუთამდე ჩვენზე ზრუნავდი, შენს თავს ყველაზე უკან აყენებდი და სხვაზე ზრუნვა ცხოვრების წესად გქონდა.

ერთგულების განსაკუთრებული ნიჭი გქონდა და ამიტომაა, რომ ყველას ვინც გიყვარდა და ვინც უბრალოდ გიცნობდა, ყველას ძალიან დაგვაკლდი.

მთელი ცხოვრება სიმართლის დარაჯად მდგარმა ქალმა, ერთიანი გულმოდგინებით ემსახურე შენს საყვარელ ქვეყანას და შენს ლამაზ ოჯახს.

ამქვეყნიური შენი მისია ზუსტად იპოვე. დაბადებული იყავი პედაგოგად და წლების მანძილზე თაობები გაზარდე, ისეთი იშვიათი გულმოდგინებით, რომ ეს სიტყვები- „იზოლდი მასწავლებელო" უანგარო და თავდაუზოგავი შრომის სიმბოლოდ აქციე.

ოჯახების პედაგოგი ხდებოდი ყოველთვის. შენი მოსწავლეები, შვილების, შვილიშვილების და ყველა ახლობელის გაზრდას იმედიანად განდობდნენ და მათ ნდობას ყოველთვის ამართლებდი.

შენი ლევანის გაზრდაში ხომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანე და კიდევაც ამაყობდი მისი წარმატებებით. და მაინც პატარა თეკლას საკუთარ ბებოდ და პედაგოგად იქეცი და ალბათ ამიტომაა, რომ მას შენ თავს ვერასოდეს ვერავინ შეუცვლის.

ძალიან ადრე დაგვტოვე და ყველას-შენს შვილებს, შენს საყვარელ შვილიშვილებს ლევანის, შალვას, შორენას, თეკლას, ბარბარეს დაუსრულებლად შენს მონატრებაში ცხოვრება მოგვისაჯე.

52 წელი მეწყვილე და სამაგალითო მეუღლე იყავი მამასთვის. თუმცა ისე წახვედი, უშენოდ ცხოვრება არც მისთვის გისწავლებია. მას შენი მონატრება გაუყუჩებელ ტკივილად ექცა და ვერაფრით ერევა. დღე და ღამ შენი სულისთვის ლოცულობს! ჩვენ კი შენი და თავისი, ორი წილი მზრუნველობით თავს დაგვტრიალებს.

ვცდილობთ ისე ვიცხოვროთ, შენ რომ გაგეხარდებოდა. შენს სულს უფალს ვავედრებთ და შენს სიახლოვეს და ზრუნვას კვლავაც ვგრძნობთ.

ყველა ის, ვინც გიყვარდა შენს წილადაც გვეყვარება და ეს ორი სიტყვა „ იზოლდი მასწავლებელი" მთელი ცხოვრება ჩვენი სიამაყე და ჩვენი ტკივილი იქნება!

გვიყვარხარ დედა!

შენი ოჯახი

შენთვის დაწერილი ლექსით მინდა მოვეფერო შენს სპეტაკ სულს!

დედის ცრემლებზე ამოდისო
ეზო–ეზო ჰატარა ია,
დღეს ჩემს სიცოცხლეს
დედა, შენი ტკივილი ჰქვია,
სპეტაკი სული,
შენი ცხოვრების არის სტიქია,
ჩვენ ერთმანეთის ვერაფერი
ვერ გავიგეთ, ვერა გვიქნია.
დედაშვილობა, შენს ცხოვრებას
აი რა ჰქვია,
შენ არსებობის ყოველი დღე
მხოლოდ ჩვენთვის დაგიხარჯია,
შენი თვალები მე ლოცვისას
სანთლად მინთია,
ქვეყნად სუფეელა ამხდენია
რაც გითქვამს და რაც გიფიქრია.
სულ თან დამყვება, შენი სითბო,
შენი სუნი, შენი ალერსი
და რამდენჯერაც დავიჩოქე,
ხელი სულ შენ შემაშველე,
არსად დავეცი.
რაც კარგი რამე გამაჩნია, დედა!
სულ ხომ შენი წვლილია,
რაც საქებარი რამე უთქვამთ
დედა, ჩემთვის შენი წილია.
მე გეთანხმები, რომ დედობა,
მძიმე ხვედრია.
რაც შენ სიკეთე გითესია
დამიჯერე, წინ დამხვედრია.
მაგ ჯაღარაში, ყველაზე მეტი
ჩემი წილია,
მაგრამ რას იზამ, მის გარეშე
რომ ვერა სძლებ,
ეს ის შვილია!
და იმ დღით როცა ჯაღარაზე
ჯვრისწერის გვირგვინი გედგა,
როგორ მინდოდა, რომ დაჩოქილს
მაპატიე –თქო ყველაფერი,
ჩურჩულით მეთქვა!
და გაზაფხულზე, ჩვენი ეზო
იებით რომ სულ აფსილია,
მე მაპატიე, დედა, რაც რომ
იმ ცრემლებში ჩემი წილია.
დედის ცრემლებზე ამოდისო
ეზო–ეზო ჰატარა ია!

ნონა ჯიბლაშვილი

მონატრება

ნუგზარ (ემზარი) ლეკაშვილი

ჩემო პირველო სიხარულო და დიდო ტკივილო, ემზარ, ცრემლებით, დარდითა და შენი მოლოდინით გავიდა ტკივილიანი ერთი წელი.3 სექტემბერი — შენი გარდაცვალების თარიღი ძალიან მძიმე დღეა ჩვენთვის. ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. წახვედი და მარადიული ტკივილი დაგვიტოვე უბედურ მშობლებს, შენს ცოლ—შვილს, შვილიშვილებს, ძმას, ძმიშვილებს, ტკივილი, რომელსაც ვერანაირი დრო ვერ განკურნავს. ძალიან გვიჭირს უშენოდ ცხოვრება, რაც საშინელი სასჯელია ჩვენთვის.

დაე, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი დამწუხრებული მშობლები

ყურადღების მიღმა



ვაშინგტონში მეტროს სადგურზე კაცი ჩამოჯდა და ვიოლინოს დაკვრა დაიწყო. იანვრის ცივი დილა იდგა. 45 წუთის განმავლობაში მან ბახის ექვსი პიესა შეასრულა. პიკის საათი იყო და გამოთვლების მიხედვით, ამ ხნის განმავლობაში მას ათასობით ადამიანმა ჩაუარა. მათგან უმრავლესობა სამსახურში მიიჩქაროდა.

სამი წუთის შემდეგ შუახნის მამაკაცმა ყურადღება მიაქცია მუსიკოსს. მან ნაბიჯი შეანელა, რამდენიმე წამით შეჩერდა კიდევაც; შე

მდეგ კვლავ თავის საქმეებზე გაეჩქარა.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ მევიოლინემ პირველი დოლარი დაიმსახურა: ჩამვლელმა ქალმა ფული ჩაუგდო და არ შეჩერებულა, ისე განაგრძო გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაც კაცი კედელს მიეყრდნო და ყური მიუგდო დაკვრას; მაგრამ შემდეგ საათზე დაიხედა და წავიდა. ცხადია, სამსახურში აგვიანდებოდა.

ყველაზე მეტი ყურადღება მუსიკოსს სამი წლის ბიჭუნამ მიაქცია. მას დედა ხელჩაკიდებულს მიარბენინებდა, მაგრამ ბავშვი შეჩერდა, მუსიკოსისთვის რომ შეეხედა. ბოლოს და ბოლოს დედამ ძლიერად გაქაჩა ბავშვი და თან გაიყოლა. ბიჭუნა წავიდა, მაგრამ წამდაუწუმ თავს ატრიალებდა, სანამ მევიოლინეს დანახვა შეეძლო. ასევე მოიქცა რამდენიმე სხვა ბავშვიც. უკლებლივ ყველა მშობელი აიძულებდა შვილს, გზა განეგრძო.

45 წუთის განმავლობაში, სანამ მუსიკოსი უკრავდა, მხოლოდ ექვსი ადამიანი შეჩერდა და დაყოვნდა რაღაც დროით. ოციოდე ადამიანმა მას ფული მისცა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებიათ. სულ 32 დოლარი შეგროვდა. როდესაც მან დაკვრა დაამთავრა და სიჩუმე ჩამოვარდა, არც ეს შეუმჩნევია ვინმეს. ტაში არავის დაუკრავს, არც სხვა გზით გამოუხატავთ აღტაცება.

არავინ იცოდა, რომ ეს მევიოლინე იყო ჯოშუა ბელი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსი. მან 3,5 მილიონ დოლარად ღირებულ ვიოლინოზე შეასრულა ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწარმოები, რაც კი ოდესმე დაწერილა.

მეტროს სადგურზე გამართულ კონცერტამდე ორი დღით ადრე ჯოშუა ბელი ბოსტონის თეატრში უკრავდა სავსე დარბაზში. მის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი საშუალოდ 100 დოლარს შეადგენდა.

ეს ნამდვილი ამბავი გახლავთ. ჯოშუა ბელის ინკოგნიტო გამოსვლა „ვაშინგტონ პოსტის“ ორგანიზებული იყო და სოციალური ექსპერიმენტის ნაწილს შეადგენდა. მისი მიზანი ხალხის აღქმის, გემოვნების და პრიორიტეტების გამოვლენა იყო. კითხვა ამგვარად იდგა: ჩვეულ გარემოში და არახელსაყრელ დროს — გაგვაჩნია სილამაზის აღქმა?

შევჩერდებით, რათა დავტკბეთ მით? გამოვარჩევთ ტალანტს უჩვეულო ვითარებაში?

ამ გამოცდილების ერთ-ერთი დასკვნა შესაძლოა ასეთიც იყოს: თუკი ჩვენ წუთიც ვერ გამოგვინახავს, რათა შევჩერდეთ და ყური დავუგდოთ მსოფლიოს ერთ უდიდეს მუსიკოსს, რომელიც უკრავს ერთ-ერთ საუკეთესო მელოდიას, რაც კი ოდესმე შექმნილა — რამდენი სხვა რამ გვრჩება ყურადღების მიღმა?

ულოცავენ!

რუსუდან ლეკაშვილ-ბუთხუზს!

რუსიკო, გილოცავთ დაბადების დღეს. 1 სექტემბერს 35 წლის გახდები. სრულიად ახალგაზრდას შვილები მოგესწრნენ. იყავ ბედნიერი, ქმარ-შვილთან და ახლობლებთან ერთად. გაიხარე და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

პატივისცემით,
ნაირა გორაშვილი და გოგი პოპიაშვილი ოჯახით

თამარ ლორაშვილს!

ჩვენო პირველო სიხარულო, ჩვენო თაკო, გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს - 18 აგვისტოს 18 წლის გახდი. მშვენიერებასთან ერთად ღმერთმა ნიჭი და შრომისმოყვარეობაც დაგანათლა: შენ უკვე საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველკურსელი გქვია, რაც სიხარულით და სიამაყით გვავსებს.

იყავ ჯანმრთელი, ბედნიერი და კვლავაც წარმატებული. გაიხარე ახალგაზრდა მშობლებთან - ლევანთან და ნათიასთან, დებთან - სალომესა და მარიამთან და პატარა ძამიკო გიორგისთან ერთად. უფალი იყოს შენი შემწე ყველგან და ყოველთვის.

სიყვარულით, შენი გამზრდელი ბებია
ნორა და პაპიდა ანგელინა ოჯახით

გოდერძი გონაშვილს!

გულწრფელად გილოცავთ მთავრობის უმაღლესი ჯილდოს—ღირსების ორდენის მინიჭებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად.

სიყვარულით:
ბაჩუკი გონაშვილი და ლია კოზაიძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია გოდერძი გონაშვილს ულოცავს მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი—ღირსების ორდენით დაჯილდოებას. ასოციაცია სიამაყით აღნიშნავს, რომ ბატონი გოდერძი ჩვენი ასოციაციის წევრია. უსურვებს მას ჯანმრთელობას და წარმატებებს იმ საქმიანობაში, რომელსაც ის უკვე წლებია, ემსახურება.

ნატალი ნატროშვილს! გუჯა წიკლაურს!

გილოცავთ ქორწინებას! გისურვებთ, მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყოლოდეთ ის ლამაზი გრძნობა, რომელმაც თქვენი ოჯახი შექმნა. აკვანთა სიმრავლე და უამრავი ლამაზი წუთი დაებედოს თქვენს ახალგაზრდა ოჯახს!

სიყვარულით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დაეხმარე სამლოცველო სახლის რესტავრაციას

დედოფლისწყაროელებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სამლოცველო სახლის რესტავრაციისთვის საჭირო თანხების მოგროვებისთვის საინფორმაციო კამპანია წამოიწყეს. გახსნილია სპეციალური საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს ნებისმიერი ოდენობით შემოწირულობის გაკეთება შეუძლიათ.

ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები უკვე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. კამპანიის საინფორმაციო მხარდაჭერას გასწევენ დედოფლისწყაროში მოქმედი მედიასაშუალებები, გაზეთი „შირაქი“ და „ქიზიყი“

საინიციატივო ჯგუფის წევრების განმარტებით, ქალაქ დედოფლისწყაროში 9 აპრილის ქუჩაზე ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლის სრული რეკონსტრუქცია და მშენებლობა უახლოეს მომავალში იწყება.

„ვიდრე დედოფლისწყაროს ცენტრში ახალი ტაძრის აგება მოხერხდებოდა და მშენებლობას დავასრულებდით, დედოფლისწყაროელები სალოცავად მხოლოდ ამ სამლოცველო სახლში იკრიბებოდნენ. ბევრი მათგანი ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობს, ნაწილს საკმაოდ კარგი შემოსავლები აქვს. ეს სამლოცველო სახლი კი დღეს ჩვენს თანადგომას საჭიროებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს კამპანია წამოვიწყოთ. ვფიქრობთ, რომ მის ბედზე ბევრ ადამიანს შესტკივა გული და შეძლებისდაგვარად ბევრი გაიღებს შემოწირულობას. ჩვენი მთავარი მიზანია, ინფორმაცია მაქსიმალურად გავრცელდეს და ჩვენს თითეულ ემიგრანტამდე მივიდეს, ამაში კი პრესის დახმარება მნიშვნელოვანია,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კამპანიის ერთ-ერთმა ინიციატორმა ვაჟა პაპუაშვილმა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ ამ დიდ საღვთო საქმეში.

ბანკის რეკვიზიტებია: სს „ლიბერთი ბანკი“ დედოფლისწყაროს ფილიალი 220101453

ბანკის კოდი
/SWIFT code :LBRTGE22
ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლი
228534565
GEL-GE48LB0122153831112000
USD-GE21LB0122153831112001
EUR-GE91LBO122153831112002

გფარავდეთ უფალი!

იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება სახლი 14 მეასედი მიწის ნაკვეთით, ყველა საჭირო სათავსოთი, გაზით და წყლით უზრუნველყოფილი. მისამართი: სტალინის ქუჩა №143.ტელეფონი 593 10 66 44, ციცო

სასწრაფოდ იყიდება ბინა ბელეტაჟზე, კარგ მდგომარეობაში, ავტოფარეხით, მოწესრიგებული ეზოთი, ბაღჩით, სათავსოებით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით, აბაზანით. მისამართი:ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქუჩა, IV შესახვევი №9.

T: 555 65 67 42, სოსო

ამინდი დედოფლისწყარო

	შაბათი 01.09		კვირა 02.09		ორშაბათი 03.09		სამშაბათი 04.09		ოთხშაბათი 05.09		ხუთშაბათი 06.09		პარასკევი 07.09	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	25°	21°	23°	20°	22°	18°	24°	20°	25°	21°	27°	21°	28°	26°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
ნომრის რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართია: ქ. დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K